შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილი

სასკოლო სასწავლო გეგმა

კონცეპტუალური ნაწილი

2025-2026 სასწავლო წელი

შინაარსი

1. შესავალი
2. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესი
3. სკოლის ფილოსოფია
4. სასწავლო პროცესის ორგანიზება
5. პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი
6. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სერვისები
7. სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია
8. არაფორმალური განათლება
9. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა
10. მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში
11. ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები
12. ინკლუზიური განათლების კონცეფცია
13. დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში
14. სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათება
15. სასწავლო შინაარსი
16. სწავლა-სწავლების მეთოდები
17. შეფასება
18. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
19. სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესები
20. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები
21. კურიკულუმის განვითარება
22. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და მატერიალური მხარდაჭერა
23. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
24. საინფორმაციო რესურსები
25. ფინანსური რესურსები

შესავალი

2025-2026 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმას და ზოგადი განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 20024 წლის 12 ივნისის N4261 დადგენილებას.

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, სრული ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე დაწყებით (I-VI კლ), საბაზო (VII-IX კლ), საშუალო (X-XII კლ).

სასწავლო სასკოლო გეგმა შედგენილია განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმა მტკიცდება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე, (გარდა ისგ) სკოლის აღმასრულებელი დირექტორის მიერ

სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესი

1. პედაგოგები სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს ეცნობიან ს/წლის დაწყებამდე პედაგოგიურ საბჭოზე და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ შესწორებები და დამატებები. კორექტირებული სასკოლო გეგმა მტკიცდება სკოლის აღმასრულებელი დირექტორი მიერ და ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაცნობა.
2. მოსწავლეებსა და მშობლებს დამრიგებლები სასკოლო სასწავლო გეგმას აცნობენ პირველივე მშობელთა კრებებზე, არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე. ასევე ისინი ეცნობიან სკოლის შეფასების სისტემას. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობებს, მათი აღდგენის ვადებს და სხვა სკოლისათვის აუცილებელ საკითხებს.
3. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა ხდება ნებისმიერ ახალი მოსწავლისა და მისი მშობელის/კანონიერი წარმომადგენელისთვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ.
4. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობას, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით

სკოლის ფილოსოფია

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

სკოლის მისიაა-მოამზადოს მოზარდი თაობა თანამედროვე ცხოვრებისთვის, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა დაგეგმოს თავისი მომავალი. აღზარდოს გლობალურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც შეძლებენ პოზიტიური ცვლილებების შეტანას მსოფლიოს ცხოვრებაში.

სკოლის ძირითადი მიზანია მისცეს მოსწავლეებს მაღალი ხარისხის განათლება. განუვითაროს მათ კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები.

სკოლის ხედვა- სასწავლო სააღმზრდელო პროგრამებით, გამოცდილი, კვალიფიციური და ინტელექტუალური პედაგოგების მეშვეობით უზრუნველყოს მოსწავლეების სწორ და ჯანსაღ პიროვნებებად ჩამოყალიბება, რომელთა ფასეულობებიც დამყარებული იქნება სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემასა და ადამიანობაზე. აღზარდოს ღირსეული, თავისი სამშობლოს პატრიოტი ადამიანი; იზრუნის არა მარტო ბავშვის განათლებაზე, არამედ მის ფიზიკურ განვითარებაზე; გაუღვიძოს მოსწავლეებს ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის ჩვევები, ხელი შეუწყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს; განუვითაროს მათ ტოლერანტობა.

სკოლის ღირებულებები:

სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

გამჭირვალობა: ჩვენი საქმიანობა, ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის, უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

მიუკერძოებლობა: ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.

თანამშრომლობა: ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.

ობიექტურობა: ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.

განვითარება და ინოვაციურობა: სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს.

არ ვერიდებით სიახლეების დანერგვას.

სტრატეგიული მიზნები

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
2. ადამიანური რესურსის განვითარება
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება
7. ორგანიზაციული განვითარება

სასწავლო პროცესის ორგანიზება

სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი და გაკვეთილების განრიგი

სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები ან ობიექტური მიზეზის გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლება;

სასწავლო წელი იწყება 2025 წლის **15 სექტემბერს;**

უქმე დღეების კალენდარი I სემესტრში	**უქმე დღეების კალენდარი** II სემესტრში
23 ნოემბერი - გიორგობა;	**19 იანვარი** - ნათლისღება; **8 მარტი** - ქალთა საერთაშორისო დღე; **9 მაისი** - ფაშიზმზე გამარჯვების დღე; **26 მაისი** - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

საშემოდგომო არდადეგები 2025 წლის **19 ნოემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით;**

ზამთრის არდადეგები: 2025 წლის **30 დეკემბრიდან - 2026 წლის 11 იანვარ**ის ჩათვლით

საგაზაფხულო არდადეგები: 2026 წლის 4 **მარტიდან -8 მარტის ჩათვლით;**

სააღდგომო დასვენება - 2026 წლის **9 აპრილიდან -13 აპრილის ჩათვლით;**

XII კლასელთათვის სასწავლო წელი სრულდება - 2026 წლის 20 მაისს;

I კლასელთათვის სასწავლო წელი სრულდება - 2026 წლის 29 მაისს;

II-XI კლასელთათვის სასწავლო წელი სრულდება 2025 წლის 12 ივნისს;

სკოლაში სწავლა იწყება 9 საათზე. გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45წთ, (გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილი გრძელდება 35 წუთი, შესვენება - 15 წთ და მეორე კლასი სადაც გაკვეთილი გრძელდება 40 წუთი, შესვენება - 10წთ) შესვენების ხანგრძლივობაა 5 წთ, მეოთხე და მეხუთე გაკვეთილების შემდეგ შესვენება 15 წთ (პირველ კლასში - 25 წთ, მეორე კლასში - 20 წთ).
სკოლაში სწავლა იწყება 9 საათზე. გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45წთ, (გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილი გრძელდება 35 წუთი, შესვენება - 15 წთ და მეორე კლასი სადაც გაკვეთილი გრძელდება 40 წუთი, შესვენება - 10წთ) შესვენების ხანგრძლივობაა 5 წთ, მეოთხე და მეხუთე გაკვეთილების შემდეგ შესვენება 15 წთ (პირველ კლასში - 25 წთ, მეორე კლასში - 20 წთ).

	I კლასი	II- კლასი	III, IV და V კლასები	VI-XIIკლასები
1	9.00-9.35	9.00-9.40	9.00-9.45	9.00-9.45
2	9.50-10.25	9.50-10.30	9.50-10.35	9.50-10.35
3	10.40-11.15	10.40-11.20	10.40-11.25	10.40-11.25
4	11.30-12.05	11.30-12.10	11.30-12.15	11.30-12.15
5	12.30-13.05	12.30-13.10	12.30-13.15	12.30-13.15
6	13.30-14.05	13.30-14.10	13.30-14.15	13.30-14.15
7	14.20-14.55	14.20-15.00	14.20-15.05	14.20-15.05
8	15.10-15.45	15.10-15.50	15.10-15.55	15.10-15.55
9	16.00-16.35	16.00-16.40	16.00-16.45	
10	16.50-17.25	16.50-17.30	16.50-17.35	

პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი

შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილიში სასწავლო პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სიღრმისეული სწავლა, რაც გულისხმობს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას: მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას; წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას; ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას; მოსწავლეებისთვის სწავლის სტრატეგიების დაუფლებას; მყარი, დინამიერი, ფუნქციური ცოდნის მიცემას.

პოზიტიური სასწავლო გარემო--სკოლა არის ადგილი, სადაც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ, ახერხებს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას.

ინკლუზიური განათლება-სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის: ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები განურჩევლად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში. ამისთვის სკოლაში არსებობს ადაპტირებული ფიზიკური გარომო, მრავალფეროვანი რესურსები, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლება.

სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სერვისები:

- სავალდებულო საგნები

N	საგნობრივი ჯგუფი	საგანი	კლასები
1	სახელმწიფო ენა	ქართული ენა და ლიტერატურა	I- XII
2	მათემატიკა	მათემატიკა	I- XII
3	უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა	I- XII
		მეორე უცხოური ენა(გერმანული/ ფრანგული/იტალიური/რუსული)	V- XII
4	საზოგადოებრივ იმეცნიერებები	მე და საზოგადოება	III-IV
		ჩვენი საქართველო	V-VI
		ისტორია საქართველოს ისტორია	VII- XII X-XI
		გეოგრაფია	VII- XII
		მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება	VII- XII
		პროექტი სამოქალაქო განათლებაში	X-XII
5	საბუნებისმეტყველ ომეცნიერებები	ბუნებისმეტყველება	I-VI
		ბიოლოგია	VII-XII
		ფიზიკა	VII-XII
		ქიმია	VIII-XII

6	ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიები	I –IX
7	ესთეტიკურ იაღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	I- IX
		მუსიკა	I- IX
		პროექტრი სახვით და გამოყენებითხელოვნებაში / მუსიკაში	X-XI
8	ფიზიკური აღზრდადა სპორტი	ფიზიკური აღზრდა/სპორტი	I- XII

სკოლაში ისწავლება 5 უცხოური ენა: პირველი უცხოური ენა არის ინგლისური, მეორე უცხოური ენები: ან რუსული, ან გერმანული , ან ფრანგული , ან იტალიური.

რუსული ენის (ფაკულტატური) შესწავლა იწყება მე-2 კლასიდან, ხოლო მე-4 კლასიდან იწყება: ან გერმანული, ან ფრანგული, ან იტალიური ენების შესწავლა (ფაკულტატური), მე-5 კლასიდან მოსწავლეს შეუძლია ამ უცხოური ენებიდან (რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური) ერთ-ერთი აირჩიოს როგორც მეორე უცხოური ენა და ერთ-ერთი- როგორც დამატებითი, ფაკულტატური უცხოური ენა.

თუ მოსწავლე რუსულ ენას ირჩევს, როგორც მეორე უცხოურ ენას, ის რუსულ ენას სწავლობს მე-5, და მე-6 კლასებში კვირაში 3 საათი; მე-7 დან მე-12 კლასების ჩათვლით - კვირაში 2 საათი. ხოლო გერმანულ,ან იტალიურ, ან ფრანგულ ენას სწავლობს როგორც ფაკულტატური მე-5 და მე-6 კლასებში კვირაში 3 საათი; მე-7-დან მე-9 კლასების ჩათვლით -კვირაში 2 საათი, მე-10 მე-11 კლასებში -კვირაში 1 საათი.

თუ მოსწავლე გერმანულ, ან ფრანგულ, ან იტალიურ ენას ირჩევს როგორც მეორე უცხოურ ენას, მას მე-5 და მე-6 კლასებში სწავლობს კვირაში 3 საათი, მე-7 დან მე-12 კლასების ჩათვლით - კვირაში 2 საათი, აგრეთვე შეუძლია იგივე ენა დამატებით ფაკულტატურის სახით აირჩიოს მე-5 დან მე-9 კლაასის ჩათვლით კვირაში 2 საათი, მე-10 მე-11 კლასებში -კვირაში 1 საათი. ხოლო რუსული ენაც შეუძლია ისწავლოს როგორც ფაკულტატური მე-5 და მე-6 კლასებში კვირაში 3 საათი, მე-7კლასში კვირაში 2 საათი.

- დამატებითი სერვისები

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით არჩევითი-არასავალდებულო წრეობრივი მუშაობის სახით, საგანმანათლებლო და საღმზრდელო მომსახურებას შემდეგ საგნებში:

ჭადრაკი

ჭადრაკი-3.docx ჭადრაკი-4.docx ჭადრაკი-5.docx

ქართული ცეკვა

qartuli cekva-1.docx qartuli cekva-2.docx qartuli cekva-3.docx qartuli cekva-4.docx

ფეხბურთი

პირველი-ფეხბურთი.docx მეორე-ფეხბურთი.docx მესამე-ფეხბურთი.docx მეოთხე-მეხუთე-ფეხბურთი.docx

კითხვის საათი

თემატური გეგმა I კლასი.კითხვის სა თემატური გეგმა II კლასი.კითხვის IIII თემატური გეგმა IIII კლასი.კითხვის IV kitxvis saati.doc V kitxvis saaTi.doc

განმავითარებელი თამაშები

განმ.თამაშები-1.doc განმ.თამაშები-2.doc განმ.თამაშები-3.doc

ხელგარჯილობა

I- კლასი ხელგარჯილობა.d II ხელგარჯილობა.d

რუსული ენა

რუსული-2.doc რუსული-3.doc რუსული-4.doc 5 კლასი რუსული.docx 6 კლასი რუს.ული.docx 7 კლასი რუსული.docx

გერმანული ენა

4 კლ გერმანული .docx
5-კლასის-მატრიცა -გერმანული-ენა.d
6 კლ გერმანული 2-1 Modul1-.docx
7-კლასის-მატრიცა -გერმანული-ენა.d
8-კლასის-მატრიცა -გერმანული-ენა.d
9 კლ გერმანული .docx
11 კლ გერმანული.docx

ფრანგული ენა

4 კლ ფრანგული.docx
5 კლ-ფრანგ--AC-2-U
6 კლ -ფრანგ-VI-კლ-AC-2
7 კლ. ფრანნგული,.docx
8 კლ -ფრანგ-AC-2-U11.d
9 კლ. ფრანგ AC-2-U11.docx
11 კლ ფრანგული.docx

იტალიური ენა

I V კლასი.docx
V.docx
VI კლასი.docx
თემატურები VII.docx
8-9-10-11-12 იტალიური-20202-

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემოქმედებითი, საგანმანათლებლო, სპორტული და საზოგადოებრივი თემატიკის სასკოლო კლუბებს. სასკოლო კლუბები წარმოადგენს მოსწავლეთა ჯგუფებს, რომლებიც უშუალოდ გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. სასკოლო კლუბებში შეიძლება გაერთიანდნენ მოსწავლეები ერთი საერთო ინტერესის გარშემო. კლუბი ორგანიზებას გაუკეთებს სხვადასხვა სახის აქტივობებს საკუთარი და სასკოლო კლუბების პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე. შემუშავებულია კლუბური მუშაობის კონცეფცია დანართი შესაბამისად.

კლუბები 1 კონცეფცია-1.18.do

სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია

დამრიგებელი არის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი. იგი უპირველეს ყოვლისა, არის მოსწავლეების მრჩეველი. მისი მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივ და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვირდრებას, სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას; ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერებაში, პრობლემების აღმოჩენასა და დაძლევაში, ხელს უწყობს მათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების აღმოჩენაში და შემდგომ განვითარებაში. კლასის დამრიგებლის მაგალითი გადამწყვეტია მის სადამრიგებლო კლასში

მშვიდი, საქმიანი გარემოს შესაქმნელად და მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

სადამრიგებლო პროგრამა (დანართი 1.12) ხელს უწყობს სკოლაში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, საერთო სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გაზრდას, სსსმ მოსწავლეების ინტეგრაციას სასწავლო პროცესსა და კლასგარეშე მუშაობაში.

აღმზრდელობითი მუშაობა მიმართული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის პიროვნული შესაძლებლობების განვითარებასა და სრულყოფაზე. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, საკუთარი მოვალეობების გააზრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

სადამრიგებლო პროგრამის ამოცანაა საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დააყენოს თითეული მოსწავლე და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, განუვითაროს მათ ზოგადი და აკადემიური უნარები;

სადამრიგებლო პროგრამა და თემატიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

ა) **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური და სოციალური განვითარებისკენ;

ბ) **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - დამრიგებლის ფუნქციაა, მოსწავლეების პოტენციური ძალების აღმოჩენა, ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) **მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება** - დამრიგებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა; მან საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვაში, განხორციელებაში და პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

დ) **თანამშრომლობა** - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემას და ურთიერთნდობას.

სადამრიგებლო საათის ფუნქციები:

ა) **საგანმანათლებლო** - აღრმავებს ცოდნას ეთიკის, ფსიქოლოგიის, სამოქალაქო განათლებისა და სხვა სფეროების მიმართულებით;

ბ) **მაორიენტირებელი** - ეხმარება მოსწავლეებს ღირებულებათა იერარქიის ფორმირებაში;

გ) **წარმმართველი** - ეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ ღირებულებათა სისტემის ფორმირებაში, არამედ მათ განხორციელებაშიც.

სადამრიგებლო საათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელი, ასაკის შესაბამისად, იმუშავებს შემდეგ მიმართლებებზე:

ა) პიროვნული და მორალური განვითარება;

ბ) გარემოსდაცვითი კულტურა;

გ) ცხოვრების ჯანსაღი წესი;

დ) უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი გარემო;

ე) მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება;

ვ) მეწარმეობის უნარების განვითარება;

ზ) თვალსაწიერის გაფართოება.

ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც წარმოადგენს სკოლის თანამშრომელს და რომლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში;

დამრიგებლები პროგრამას განახორციელებენ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოცემული პუბლიკაციებით: „სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლასების მოსწავლეთათვის (დამრიგებლის წიგნი)“ (თბილისი, 2010) და „სადამრიგებლო საათის პროგრამა V-IX კლასების დამრგიგებლებისათვის“ (თბილისი, 2011).

დამრიგებელი ვალდებულია:

ა) სკოლაში გამოცხადდეს გაკვეთილების დაწებამდე 10-15 წუთით ადრე, სკოლაში იმყოფებოდეს სადამრიგებლო კლასის გაკვეთილების დამთავრებამდე;

ბ) უზრუნველყოს, რომ ყველა მოსწავლე სკოლაში ცხადდებოდეს სკოლისათვის დადგენილი სამოსით;

გ) ყოველი გაკვეთილის შემდეგ, შესვენებაზე, იმყოფებოდეს სადამრიგებლო კლასში და უზრუნველყოს ყველა მოსწავლის კლასში დახვედრა გაკვეთილის დაწყებისას, აკონტროლოს, რომ მოსწავლე გაკვეთილზე არ აგვიანებდეს სასადილოში ყოფნისა და სხვა ნებისმიერი გარემოების გამო.

დ) მოსწავლეთა გაცდენების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექციას.

ე) განახორციელოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური მონიტორინგი. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციით დაადგინოს გაცდენის მიზეზი;

ვ) მოსწავლე გაკვეთილიდან გაათავისუფლოს მხოლოდ დირექციის წევრის თანხმობით;

ზ) რეგულარულად გააკონტროლოს თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრება ყოველი სასწავლო დისციპლინის მიხედვით;

თ) ჩაატაროს სადამრიგებლო საათი **არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ**, სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.

ი) ყოველდღიურად, დღის ბოლოს, შეამოწმოს სადამრიგებლო კლასის ჟურნალი და ელექტრონული ჟურნალი, რომ ყველა პედაგოგს შეტანილი ჰქონდეს სათანადო ჩანაწერები: (გამოცხადების აღრიცხვა, შეფასებები და ა. შ). რაიმე დაბრკოლების შემთხვევაში პირადად აცნობებს დირექციას;

კ) აწარმოოს სადამრიგებლო კლასის დოკუმენტაცია (მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ.);

ლ) ყოველი ახალი კლასის მიღებისას, ყოფილი დამრიგებლისაგან ჩაიბაროს კლასის დოკუმენტაცია.

მ) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმა და ა. შ);

ნ) სასწავლო წლის დაწყებისთანავე, მასწავლებლებთან ერთად, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გააცნოს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები და მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენების შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

ო) სისტემატურად შეაგროვოს ინფორმაცია სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ.

პ) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობელემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი.

ჟ) ჩაატაროს როგორც ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, ასევე მშობელთა კრებები;

რ) უზრუნველყოს სკოლასა და სადამრიგებლო კლასის მოსწავლის მშობელს შორის ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა;

ს) თვალყური ადევნოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლის მშობლის მიერ სწავლების საფასურის გადახდის პროცესს;

ტ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად;

უ) პასუხისმგებელია საკლასო ოთახში არსებული ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე, მოსწავლის დისციპლინაზე.

ფ) აწარმოოს კონსულტაციები საგნის მასწავლებლებთან მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატების შესახებ.

ქ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში.

ღ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;

ყ) იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

შ) დამრიგებელმა სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

ჩ) სემესტრისა და სასწავლო წლის დასრულებისას აკეთებს თითეული მოსწავლის ნიშნების, დასწრებისა და ქცევის ანალიზს და უზრუნველყოფს ამ დოკუმენტის კონფიდენციალობას და მშობლისთვის გაცნობას.

ც) უზრუნველყოს მოსწავლეთათვის საინტერესო დისკუსიების, ვიქტორინების, ზეიმების, ლაშქრობების ორგანიზება; ცნობილ და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა; სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

ძ) ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით სკოლაში არ გამოცხადების შემთხვევაში, თავისი შემცვლელის შერჩევის მიზნით, დროულად აცნობოს სკოლას აღნიშნულის თაობაზე;

წ) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ჭ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე

არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლება ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას განაპირობებს. მოსწავლისთვის, ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მას კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში. სკოლას მიაჩნია, რომ არაფორმალური განათლება მოსწავლეში ხელს უწყობს ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების განვითარებას. სწორედ ამიტომ, არაფორმალური განათლების მიმართულებით 2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდება პროექტი - მესამე თაობის ესგ-ის პრიორიტეტული თემებიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვა **„მე ჩენი ქვეყნის მასპინძელი”**

ასევე 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგი სახის სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობებს:

#	**ორგანიზება**	**აქტივობის სახეობა**	**დრო**
1	სკოლის ადმინისტრაცია და კათედრები	სხვადასხვა სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობის მიღება	სასწავლო წლის განმავლობაში

2	სკოლის ადმინისტრაცია	სხვადასხვა შემეცნებით გასართობი ღონისძიებების ორგანიზება	სასწავლო წლის განმავლობაში
3	სკოლის ადმინისტრაცია	სხვადასხვა თეატრებში, სპექტაკლებზე დასწრება (ნ.დუმბაძის სახ. მოზარდმაყურებელთა თეატრი, თბილისის თოჯინების სახ. თეატრი, რუსთაველის სახ. თეატრი, მარჯანიშვილის სახ. თეატრი, საქართველოს სახ. ოპერის თეატრი)	კულტურული ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში
4	სკოლის ადმინისტრაცია, დამრიგებელი	ექსკურსიები	კულტურული ღონისძიებები წელიწადში ორჯერ შემოდგომა, გაზაფხული
5	სკოლის ადმინისტრაცია დამრიგებლები	საქართველოს ეროვნულ მუზემის, ეროვნულ გალერეაიის დათვალიერება	სასწავლო წლის განმავლობაში
6	პედაგოგები	საშობაო სპექტალკლები	წელიწადში ერთხელ
7	კათედრები	გასვლითი გაკვეთილიები მთაწმინდის პანთეონში, თბილისის ბოტანიკურ ბაღში, გ.ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში	წელიწადში ერთხელ
8	საბუნებისმეტყველო კათედრა პედაგოგი	გასვლითი გაკვეთილი თსუ ქიმიის ფაკულტეტის ლაბორატორიაში და სტუ ფიზიკის ლაბორატორიაში	სასწავლო წლის განმავლობაში
9	სკოლის ადმინისტრაცია დამრიგებლები, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი	საქველმოქმედო აქციები	სასწავლო წლის განმავლობაში
10	ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა	მხიარულ სტარტები	სასწავლო წლის განმავლობაში
11	სკოლის ადმინისტრაცია	რა? სად? როდის?	სასწავლო წლის განმავლობაში
12	ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა	ამხანაგური თამაში კალათბურთში და ფეხბურთში სხვა სკოლებთან	სასწავლო წლის განმავლობაში
13	საბუნებისმეტყველო კათედრა	გასვლითი გაკვეთილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, პლანეტარიუმში	სასწავლო წლის განმავლობაში
14	საბუნებისმეტყველო კათედრა	თსუ ზოოლოგიური მუზეუმის დათვალიერება	სასწავლო წლის განმავლობაში
15	საბუნებისმეტყველო კათედრა	გასვლითი გაკვეთილი გარემოს დაცვითი განათლების ცენტრში თემაზე დაცული ტერიტორიები, ნაკრძალები და პარკები	სასწავლო წლის განმავლობაში
16	უცხოური ენების კათედრა	საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდები, ილიას სახ. უნივერსიტეტის ავსტრიის ცენტრში სასერთიფიკატო გამოცდა	სასწავლო წლის განმავლობაში
17	ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი	ინდუსტრიული რობოტის შექმნა და მართვა	მეორე სემესტრი

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:

- მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

პროფესიის არჩევა - ნიშნავს არა მხოლოდ სამუშაოს არჩევას, არამედ იმასაც, თუ საზოგადოების რა ჯგუფთან (ეთიკური ნორმები, წესები, პრინციპები, ფასეულობები და ცხოვრების წესი) მოახდენ იდენტიფიკაციას.

პროფესიის არჩევის პროცესი მოსწავლისათვის უნფრო ნათელი და თანმიმდევრული გახდება თუკი შემდეგი კითხვების მიხედვით იმსჯელებს : რა უნდა? რა შეუძლია? საჭიროა?

პროფესიის განსაზღვრის პროცესი მრავალ ასპექტს მოიცავს, უპირველესად კი მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:

- ვინ უნდა გამოვიდეს;
- რომელ სოციალურ ჯგუფს უნდა რომ მიაკუთვნოს თავი;
- ცხოვრების როგორი სტილი სურს;
- რა მიზნებს ისახავს მომავლისათვის.

პროფესიული მოღვაწეობა პიროვნების თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ძირითადი საშუალებაა. მაგრამ თვითრეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს აინტერესებს არჩეული პროფესია, გააჩნია მის შესასრულებლად საჭირო უნარი და არსებული სამუშაოს შესრულებით იღებს კმაყოფილებას.

მოსწავლეთათვის კარიერის დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციაში დახმარება გულისხმობს, როგორც ინდივიდუალურ დონეზე მოსწავლისთვის კონსულტაციის გაწევას, ისე ჯგუფურ სამუშაოებს, რომლებშიც თანაბრად იქნებიან ჩართულნი: ფსიქოლოგები, დამრიგებლები, დამსაქმებლები და სხვ.

კარიერის დაგეგმვაში კონსულტაციის გაწევა გულისხმობს:

1.შეისწავლოს მოსწავლეების შესაძლებლობები. სკოლამ უნდა გამოიკვლიოს მოსწავლეების ინდივიდუალური განვითარების დონე, დაეხმაროს მათ საკუთარი უნარების განსაზღვრაში და მიაწოდოს ინფორმაცია შესაძლებლობების, საჭიროებების, ღირებულებების, უნარებისა და ცოდნის შესახებ. სკოლის დანიშნულებაა მოსწავლეების ემოციური მხარდაჭერა კარიერული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, კარიერული გეგმებისა და მიზნების დასახვაში კარიერული კონსულტაციის გაწევა, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება;

2.დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიის არჩევის პროცესში.
3.ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებას.
4.ხელი შეუწყოს სკოლისა და პროფესიული კოლეჯების, უნივერსიტეტების თანამშრომლობას. უნდა გაუმჯობესდეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში განათლების საფეხურებს შორის კოორდინირებული მუშაობა.
5.უზრუნველყოს კარიერული დახმარებისა და კონსულტაციის გაწევა სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის.
პროფესიის არჩევა ყველაზე აქტუალურია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, ამიტომაც ამ ეტაპზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ოთხ კომპონენტს:

1. თვითშემეცნება;
2. შრომის ბაზრის კვლევა;
3. ინფორმაცია პროფესიაზე;
4. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროცესების შესახებ.

სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ შესაბამისი კლასის დამრიგებლები, რომელთა სადამრიგებლო პროგრამებშიც გაწერილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში კონსულტირება.
პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში დამრიგებლების მიერ მოხდება შემდეგი საკითხების განხილვა:

- მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიის არჩევის მნიშნელობაზე;
- პროფესიათა მახასიათებლებისა და კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელთათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გააზრება.
- საქართველოში არსებული პროფესიული მიმართულებების გაცნობა.
- მოსწავლეებისგან პროფორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთა

პიროვნებათაშორისი განსხვავებების, მათი შესაძლებლობების, ინტერესების გაცნობიერება და კონკრეტული პროფესიების შერჩევის დროს.

- მოსწავლეთა ინფორმირება პიროვნული თვისებებისა და სამუშაო გარემოს მიხედვით ადამიანთა ტიპებად დაყოფისა და პროფესიების კლასიფიცირების შესახებ.
- პროფესიის არჩევისას დაშვებული შეცდომებისა და სტერეოტიპების არსებობის გაცნობიერება.
- მომავლის დაგეგმვის მნიშვნელოვნების გააზრება.
- მიზნის არსისა და მნიშვნელობის, მიზნის მიღწევის ზოგადი პრინციპების გაცნობა.
- გეგმისა და დაგეგმვის მნიშვნელობის გაცნობა.

სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან (თავისუფალი უნივერსიტეტი, ალტერბრიჯი, ვებსტერი, კავკასიის უნივერსიტეტი და ა.შ) რომლის ფარგლებშიც XI-XII კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საუნივერსიტეტო პროგრამებს. უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები მოიცავს:

- ✓ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით
- ✓ მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო პროგრამების გაცნობას;
- ✓ ღია კარის დღეების ორგანიზებას;
- ✓ ერთობლივი შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით აღიარებულ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

1.სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.

2.სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით.

3.სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.

4.სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.

5.სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

6. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.

7. სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით.

8.სკოლის მოსწავლე სარგებლობის მობილობის უფლებით, რის შესახებაც ინფორმირებულია მოსწავლის მშობელი.

9.სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით.

10. სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.

11.მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.

4. სკოლა შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;

5. აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლა აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;

6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;

7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;

8. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

ინკლუზიური განათლების კონცეფცია

ინკლუზიური განათლება გულისხმობს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას;
- მრავალფეროვნების დაფასებას;
- რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას;
- დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას;
- ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს; სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
- მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო გამოცდილების მართვაში; განივითაროს საკუთარი პოტენციალი და გახდეს მის გარშემო მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე;
- სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს უნდა გრძნობდეს სასკოლო თემის ნაწილად და საკუთარი წვლილი შეჰქონდეს მის განვითარებაში.

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

სკოლა უზრუნველყოს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც მოხდება ყველა მოსწავლისთვის განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. სკოლა მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, ინკლუზიური კულტურის დონის ამაღლებასა და ჩართულობას ინკლუზიური განათლების მხრივ. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის სსსმ სტატუსის მინიჭება მოხდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რაზეც სკოლა წერს ბრძანებას და დგება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმეის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ.გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შეíქმნება სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას.

ამჟამად, სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში

დიფერენცირებული სწავლების მახასიათებლები

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს სწავლების ტემპის, სირთულის ხარისხის,მეთოდების მოდიფიცირებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების, სწავლის სტილის ან ინტერესების გათვალისწინებით.

დიფერენცირებული სწავლება კვალდაკვალ მისდევს სწავლის პროცესში მოსწავლეების მიერ მიღწეულ პროგრესს -ითვალისწინებს იმას, თუ რა იციან მოსწავლეებმა მოცემული დროისთვის, და, რა ცოდნის შეძენას საჭიროებენ.

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს მოდიფიკაციებს სწავლების შემდეგ ელემენტებში: **შინაარსი**, **პროცესი და პროდუქტი**. ამ სამი ელემენტის დიფერენცირებისას მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან მიდგომებს სასწავლო შინაარსის, სწავლის მეთოდებისა და ნასწავლის დემონსტრირების მიმართულებით.

შინაარსის დიფერენცირება: შინაარსი არის ის, თუ რას ვასწავლით მოსწავლეებს, და რა გვინდა, რომ მათ იცოდნენ. შინაარსის დიფერენცირება მოითხოვს დაფიქრებას შემდეგ საკითხებზე: 1.ადაპტირება იმ შინაარსის, რასაც ვასწავლით; 2. ადაპტირება შინაარსზე წვდომისმეთოდების.

შინაარსის დიფერენცირება შეიძლება მოსწავლეების მზაობის ხარისხის, ინტერესებისა და სასწავლო პროფილების შესაბამისად. შინაარსის დიფერენცირება მზაობის შესაბამისად გულისხმობს მოსწავლეებისთვის მიწოდებული რესურსების ან ინფორმაციის მოსწავლეების კომპეტენციებზე მორგებას. შინაარსის დიფერენცირება ინტერესების შესაბამისად ნიშნავს საგნობრივ კურიკულუმში იმ იდეებისა და რესურსების ინტეგრირებას, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეების ინტერესებს ან აფართოებს მათ. შინაარსის დიფერენცირება სასწავლო პროფილების მიხედვით ნიშნავს, რომმოსწავლე უზრუნველყოფილია მასალის/ინფორმაციის გაგების ისეთი საშუალებებით,რომლებიც შეესაბამება სწავლისადმი მის მიერ არჩეულ მიდგომებს.

პროცესების დიფერენცირება: რაც შეეხება სწავლების პროცესებს, მასში იგულისხმება სწავლების წარმართვის გზები. დიფერენცირებულ სწავლებაში ის, თუ, რა გზით წარმართავს მასწავლებელი სწავლებას, მოსწავლეების სასწავლო პროფილების და პრიორიტეტების გათვალისწინებას გულისხმობს. პროცესების მოდიფიცირება შესაძლებელია დავალებების სირთულის ხარისხის გაზრდით, მოსწავლეების კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნების პროცესებში ჩართვით, ასევე, სწავლების მრავალფეროვანი გზების შეთავაზებით. შესაძლებელიაისეთი აქტივობის შეთავაზება, რომელშიც სასწავლო შინაარსი იგივეა, ხოლო დასწავლის და გადამუშავების გზები - სხვადასხვა.

პროდუქტის დიფერენცირება: პროდუქტი წარმოადგენს სწავლის საბოლო, ხელშესახებ შედეგს, ასეთია, მაგალითად:ანგარიში, ბროშურა, მოდელი, დიალოგი, მოხსენება, დებატები; ასევე, აქტივობები,როგორებიცაა: იმიტაცია, ცეკვა, იმიტირებული სასამართლო პროცესი და სხვა. პროდუქტი ასახავს მოსწავლეების მიერ შეძენილ ცოდნას და მის გამოყენებას. პროდუქტის დიფერენცირებისთვის, შესაძლებელია, მოსწავლეებს შევთავაზოთ რაიმე გამოწვევა, ასევე, შეძენილი ცოდნის გამოსავლენად შევთავაზოთ სხვადასხვა მეთოდი.შესაძლებელია, მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, შექმნან პროდუქტი, რომელიცმათი სწავლის ძლიერ მხარეებს უკავშირდება (მაგ, მოსწავლე კარგი ვიზუალური უნარებით ქმნის ნახატს; ასევე, შესაძლოა სთხოვოს მოსწავლეებს იმუშაონ იმ მიმართულებით, რომელიც არ არის მათი ძლიერი მხარე (მაგ. მოსწავლეს, რომელსაც სივრცის აღქმის სირთულე აქვს, დაევალოს განსხვავებული ტიპის პროდუქტის მომზადება - მაგ., სივრცული ფიგურის/მოდელის მომზადება). საერთო ჯამში, პროდუქტის დიფერენცირება შესაძლებელია მოსწავლეების წახალისებით, მიიღონ გამოწვევის შემცველი დავალება, შეიმუშაონ იდეები, იპოვონ ცოდნის გამოვლენის უნიკალური გზები.

დიფერენცირებული სწავლების მიზანია, გაზარდოს ალბათობა იმისა, რომ მოსწავლეები წარმატებული მსწავლელები დადგებიან. აღნიშნულის მისაღწევად კი კარგი გზაა მოსწავლეების უკეთ გაცნობა და გაგება იმისა, თუ რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან ინტერესების, სასწავლო პრიორიტეტებისა და სწავლის ტემპის, მზაობისა და მოტივაციის მიხედვით. შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება ინფორმაციის შეაგროვება მოსწავლის აკადემიური ისტორიის, ინტერესების, დასწავლის შერჩეული გზებისა, ცოდნისა და უნარების მიმდინარე ხარისხის შესახებ. მოსწავლეების წარმატების ალბათობის გასაზრდელად საჭიროა, მოსწავლეების აკადემიური მზაობის ხარისხის დადგენა, ამისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ: **პრე-ტესტები. წინასწარი შეფასებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმების/კურიკულუმების მოდიფიცირებისთვის, რომ მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლეების საჭიროებებს -ითვალისწინებდეს მოსწავლეების არსებულ და შესაძენ ცოდნას/უნარებს.** დიფერენცირებული სწავლება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმარებას, რაც მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევა, გაუწიოს მოსწავლის სწავლის პროცესს ადეკვატური ფასილიტაცია.

შეფასების მონაცემების შეგროვება და გამოყენება დიფერენცირებული სწავლების ხელშეწყობისთვის სამ ეტაპად ხორციელდება:

- ✓ სწავლების დაგეგმვა წინასწარ შეფასებასთან ერთად;
- ✓ სწავლების განხორციელება განმავითარებელ შეფასებასთან ერთად;
- ✓ სწავლების შეფასება განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად.

დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები:

- ✓ სასწავლო მენიუ -
- ✓ სასწავლო გაჩერებები
- ✓ შეარჩიე საკითხავი მასალა
- ✓ აირჩიე პროექტი
- ✓ კითხვები ინტერესების მიხედვით
- ✓ წერითი დავალება ,,რაფთ“

სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათება

სწავლა-სწავლების მიზნები (ზოგადი დახასიათება):

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს:

- ➢ ინფორმაციის გააზრება საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით; აზრის/იდეის ჩამოყალიბება მიზნებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;
- ➢ კულტურათა თავისებურებების გათვალისწინება ინფორმაციის აღქმისა და შეფასებისას;
- ➢ კანონზომიერებების აღმოჩენა და მოდელირება ახალ სიტუაციასთან მიმართებით; სასწავლო მასალის მეცნიერულ კონტექსტში გააზრება;
- ➢ სასწავლო ამოცანებისა და ცხოვრებისეული პრობლემების წარმატებით გადაჭრა მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მიდგომების საშუალებებით;
- ➢ საკუთარი მსოფლმხედველობის რეფლექსია შეძენილი ცოდნის საფუძველზე;
- ➢ შეძენილი ცოდნის გამოყენება საკუთარი, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მიზნებისა და საჭიროებებისთვის.
- ➢ ეროვნული სასწავლო გეგმაში, აღნიშნულ მიზნებზე დაფუძნებით განსაზღვრულია საგნობრივი ჯგუფის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებების და სწავლის შედეგები/კომპეტენციები), რომლებიც მოსწავლე განივითარებს თითოეულ საგნის

ფარგლებში. გრძელვადიანის მიზნები განსაზღვრულია საფეხურის დონეზე და რეალიზდება სასწავლო თემებში.

საგნის საფეხურებრივი შედეგები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- საგნობრივ ცოდნას;
- ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს
- აღმზრდელობით-ღირებულებით ასპექტს/ასპექტებს.

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ხდება სასწავლო პროცესის დაყოფა შუალედურ სასწავლო მიზნებად, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო თემის სახით და განისაზღვრება კლასის საჭიროებებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი დავალების სახით, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს და რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. შედეგი მიღწეულია თუ, მოსწავლე შეძლებს საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრებას, გაანალიზებას და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.

სასწავლო შინაარსი

სასწავლო გეგმაში შინაარსები მოცემულია სავალდებულო საგნების მიხედვით. სავალდებული საგნის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცოდნას (იგივე ქვესაკითხს/საკითხს) გააჩნია სამი ასპექტი: დეკლარატიული (წესები, განმარტებები, ფაქტები), პროცედურული (პროცედურები, რომლებიც ფაქტობრივი ცოდნის დამუშავებაში გვეხმარება) და პირობისეული (კავშირი ცხოვრებისეულ კონტექსტებთან; პასუხი შეკითხვაზე - სად და როდის გამოვიყენებ ამ ცოდნას). შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი დავალების სახით, რომელზეც მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნაზეა აგებული.

სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც მასწავლებლებისთვის ასევე მოსწავლეებისათვის.

სკოლას შემუშავებული აქვს და მოსწავლეებს აცნობს საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები) სარგებლობის წესებს;

სკოლის საგანმანათლებლო რესურსებია:

ა) ბიბლიოთეკა;

ბ) მომავლის ლაბორატორია;

გ) კომპიუტერული ლაბორატორია;

დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია;

ე) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა);

ვ) გარე რესურსები (ბუნებრივი გარემო, ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, თეატრი და სხვა).

სკოლის ყველა პარალელურ კლასში ისწავლება ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი;

საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა (დანართი 1.14) იკვრება თვალსაჩინო ადგილზე სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით (MES 3 23 0000957822 02/08/2023 და MES 2 23 0000903712 19/07/2023) სკოლაში ინგლისური ენა I-XII კლასები და მათემატიკა I-VII კლასები ისწავლება არაგრიფირებული სახელმძღვანელოებთ.

სწავლა-სწავლების მეთოდები

სკოლაში 2025-2026 სასწავლო წელს, სასწავლო პროცესის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

- საგანთა შორის ინტეგრირება
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
- პროექტული სწავლება
- დიფერენცირებული მიდგომები

შეფასება

- **მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები**

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.

შეფასების ძირითადი ამოცანებია:

- მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;
- მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლაში არის ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება, აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს; ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლე განმავითარებელი შეფასების აქტიური მონაწილეა და ჩართულია შეფასებისთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

განმსაზღვრელი შეფასება სამ კომპონენტიანია:

- მიმდინარე საშინაო დავალება;
- მიმდინარე საკლასო დავალება;
- შემაჯამებელი დავალება.

სამივე კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ

9		ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8 7	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
6 5	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

2.განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს დიფერენცირებული და არადიფერენცირებული. არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით

განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი მიზნებისთვისაც.

სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით. სემესტრული ქულის ამაღლება შესძლებელია მოსწავლის სურვილით. თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ინიშნება სემესტრული გამოცდა.

საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

საგნის საფეხურის ქულა -საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;

საფეხურის ქულა-გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

სკოლაში კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.

3.თუ მოსწავლეს კლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზე დაბალი წლიური შეფასება, სკოლა მოსწავლეს სთავაზობს რემედიაციის პროგრამას საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით.

რემედიაცია -არის სწავლაში ხარვეზების აღმოფხრაზე ორიენტირებული სწავლება. რემედიაცია ეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აღმოაჩნდათ ცოდნის და უნარ-ჩვევების მნიშვნელოვანი ხარვეზები განმავითარებელი შეფასების მონაცემების მიხედვით.

რემედიაცია არის შესაძლებლობა იმისა, რომ დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შევთავაზოთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ–ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე.

რემედიაციის პროგრამაში ჩართვამდე, პირველ რიგში უნდა დავადგინოთ, რა ტიპის პრობლემა აქვს მოსწავლეს და ამის შემდეგ დავგეგმოთ შესაბამისი ინტერვენცია. იდენტიფიცირება ხდება შემდეგი ჩამოთვლილი საფეხურების დახმარებით:

- პრობლემის ინდენტიფიცირება
- პირველადი დიაგნოსტიკა და ინდივიდუალური გასაუბრება მოსწავლესთან.
- მოსწავლის მოსწრების ანალიზი სხვადასხვა საგანში.
- მშობელთან გასაუბრება, თანხმობა პროგრამაში ჩართვაზე

მშობლის თანხმობის შემდეგ იქმნება სარემედიაციო ჯგუფი. სარემედიაციო ჯგუფი მუშაობა ახორციელებს შემდეგი თანმიმდევრობით:

- სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილების გეგმების შედგენა;
- სარემედიაციო გაკვეთილების წარმართვა;
- პროგრესის მონიტორინგი, შუალედური შეფასება;
- ბოლო ეტეაპიშემაჯამებელი შეფასებაა.

რემედიაცია შეიძლება მიმდინარეობდეს სამი ძირითადი ფორმატით:

გაკვეთილში ჩაშენებით
მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის პროცესში ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს

გაკვეთილისგან მოწყვეტით
გაკვეთილის მსვლელობისას ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მცირე ხნით, კლასში ან კლასის გარეთ, სხვა/დამხმარე მასწავლებელი უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

დამატებითი გაკვეთილის სახით

არასაგაკვეთილო დროს (ძირითად გაკვეთილებამდე/შემდეგ) ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარდება კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებული აქტივობები თავისივე ან სხვა მასწავლებლის მიერ.

რემედიაციის მიზნების დასახვისთვის დიდად სასარგებლო და გამოსადეგი SMART - სტრატეგია

S – კონკრეტული (specific)	სარემედიაციო პროცესის/მეცადინეობების მიზანი ძალიან მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული და ერთ კონკრეტულ კომპეტენციაზე ორიენტირებული.
A – მიღწევადი (achievable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგად მოსწავლემ უნდა შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა / კომპეტენციის გამომუშავება განვითარების აქტუალურ ზონაზე დაყრდნობით.
M – გაზომვადი (measurable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგი უნდა იზომებოდეს კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით.

R – რელევანტური (relevant)	სარემედიაციო აქტივობები ლოგიკურად უნდა ებმოდეს ერთმანეთს და შეესაბამებოდეს მოსწავლის საჭიროებებსა და დასახულ მიზნებს.
T – დროში განსაზღვრული (timely)	უნდა განისაზღვროს სარემედიაციო პროცესის ხანგრძლივობა და ძირითადი ფაზები.

რემედიატორი მასწავლებლის როლი სკოლაში დიდია. მას უწევს იმ მოსწავლეებთან ურთიერთობა, რომლებსაც გარკვეული პრობლემები გააჩნიათ სწავლაში. რემედიაციულ მიდგომებში ყველაზე მეტად გამოსაკვეთი გახლავთ,ის რომ მედიატორმა მასწავლებელმა რემედიაციული პროგრამის ფარგლებში უნდა გაითვალისწინოს: სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპები, ასაკობრივი, თუ ინდივიდუალურ მიდგომები. რათა საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო პროცესი დანერგოს. რემედიაციის პროგრამა ნებისმიერ მასწავლებელს აძლევს საშუალებას გაუადვილოს მოსწავლეს ყველა სირთულე და გაიყვანოს შედეგზე.

4.დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

დიაგნოსტიკური წერები

სკოლაში წელიწადში ორჯერ პირველ და მეორე სემესტრში, საბაზო და საშუალო საფეხურზე ჩატარდება დიაგნოსტიკური წერები. საგანები მოსწავლეთა საჭიროებებით დგინდება, დიაგნოსტიკური წერის შედეგები გავლენას არ ახდენს მოსწავლეთა შეფასებაზე.

გამოცდის ტიპები

სკოლაში ჩატარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- წლიური(სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის გამოცდა (განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად);

სემესტრული გამოცდა

სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე

უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს

შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**

წლიური გამოცდა

საგამოცდო საგნების შერჩევა ხდება კათედრის თავმჯდომარეების რეკომენდაციის გათვალისწინებით და დირექციის გადაწყვეტილებით. **წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი)** გამოცდა ჩატარდება V, VI, VII, VIII, IX, X და XI კლასებში შემდეგ საგნებში:
ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
მათემატიკაში;
ინგლისურ ენაში.
V და VI კლასებში გამოცდის განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება განმავითარებელი მიზნებისთვის.

VII, VIII, IX, X და XI კლასებში წლიური გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში საგნის წლიური ქულა სამი შეფასების სემესტრული ქულებისა და წლიური გამოცდის ქულის საშუალო არითმეტიკულია. ხოლო წლიური გამოცდიდან გათავისუფლების შემთხვევაში საგნის წლიური ქულა გამოითვლება პირველი და მეორე სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულით. წლიური გამოცდა ტარდება არაუგვიანეს სწავლის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე პერიოდში, წერილობითი ან ზეპირი ფორმით. საგამოცდო პროგრამას აგდენს საგნის პედაგოგი. დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური აქტის საფუძველზე, ზოგიერთი მოსწავლე/მოსწავლეები შეიძლება გათავისუფლდნენ წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდიდან/გამოცდებიდან. წლიური გამოცდის დანიშვნისას, აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება გამოცდიდან გათავისუფლების წინაპირობები.

საშემოდგომო გამოცდა ტარდება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს 2 კვირისა და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ 7 დღით ადრე. საშემოდგომო გამოცდის კომისია ატარებს საშემოდგომო გამოცდებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად; გამოცდის ფორმა და საგამოცდო საგნების კონკრეტული ვადები მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით; მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა გახდება საგნის წლიური ქულა);

ექსტერნატის გამოცდით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც გავრცელდა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ზე მეტის გაცდენის გამო ჩასაბარებელი ექსტერნის გამოცდა.

გაცდენები

1.მოსწავლეთა გაცდენები, აღირიცხება მოსწავლეთა ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი, რომელიც ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეების დასწრება.

2.თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება თუკი მოსწავლე აღადგენს კონკრეტულ საგანში გაცდენილ შემაჯამებელ დავალებას.

3.იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის სასწავლო პროცესის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% გაცდენის შემთხვევაში ექსტერნის გამოცდაზე გასვლა არ გასვლის შესახებ, თუმცა ხდება მათი გაცდენების აღრიცხვა საკლასო ჟურნალში.

4.თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება 30% გაცდენების დროს გათვალისწინებული ღონისძიებები.

5.სკოლა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვნას. კერძოდ, იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ ვრცელდება კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% გაცდენის შემთხვევაში ექსტერნის გამოცდაზე.
შინ სწავლებაზე გადასულ მოსწავლეს სკოლა უდგენს განრიგის, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს. შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმის გამოყენება.
მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ვერიფიკაციის მიზნები

1 სკოლა ვალდებულია შემოწმების პროცესი განახორციელოს სწავლების ყველა საფეხურზე. ვერიფიკაციის სისტემა ამოწმებს რამდენად ზუსტად **იგეგმება** და **ხორციელდება** შეფასება და რამდენად **ზუსტი** და **სამართლიანია** ის.
2.ვერიფიკაციის სისტემა არის **დახმარებაზე** ორიენტირებული პროცესი, რომელთა მიზანია:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება;
- მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა; სასკოლო კურიკულუმთან;
- მასწავლებელთა მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;
- მასწავლებელთა საჭიროების იდენტიფიცირება და მათი შესაბამისი განვითარება;
- ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შეფასების ვერიფიკაციის პრინციპები და არსი

1. შეფასების ვერიფიკაცია ამოწმებს შეფასების სისტემას 5 მახასიათებლის მიხედვით:

- ვალიდურობა
- სანდოობა
- გამჭვირვალობა
- ობიექტურობა
- სამართლიანობა

შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.
შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

2.ვერიფიკაციის განხორციელების მიმართულებებია:

- შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ);
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია (მოსწავლის მიერ შესრულებეული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ);
- პროცესის ვერიფიკაცია (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ).

3. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
- ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
- ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
- ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ)

4. ვერიფიკაცია განხორციელების ეტაპებია:

- ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა;
- რისკების განსაზღვრა;
- ვერიფიკაციის გეგმის შედგენა;
- ვერიფიკაციის განხორციელება;
- შედეგის ანალიზი;
- უკუკავშირი - დაგეგმვა.

ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა

1.ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი/პირები ქმნიან ვერიფიკაციის ჯგუფს , რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს სკოლის აღმასრულებელი დირექტორი.

ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
- ხარისხის მართვის მენეჯერი;
- საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი (ვერიფიკატორი);
- საგნის მასწავლებელი.

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

- ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად განსაზღვრავს განრიგს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორცილებელ ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნულ განრიგში ეთითება ვერიფიკაციის განხორციელების სავარაუდო პერიოდი და ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები.
- კოორდინირებას უწევს ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და შესაბამისი კადრების შერჩევას ვერიფიკატორად;
- კოორდინაცია უწევს მტკიცებულებების და ინსტრუმენტების შეგროვებას.

ხარისხის მართვის მენეჯერი

- ორგანიზებას უწევს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას
- უზრუნველყოფს შიდა ვერიფიკატორებისათვის მეთოდური მითითებების მიცემას;
- უზრუნველყოფს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის მონიტორინგსა/ შეფასებას და სკოლის აღმასრულებელი დირექტორისთვის ანგარიშის წარდგენას;
- კოორდინირებას უწევს კადრების შემდგომი გადამზადება/განვითარების პროცესს, რომელიც ეფუძნება ვერიფიკატორებისაგან მიღებულ ინფორმაციას საგნის მასწავლებლის იდენტიფიცირებული საჭიროებების შესახებ;

ვერიფიკატორი
კონკრეტული საგნისთვის:

- ამოწმებს და ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობასა და სანდოობას;
- არჩევს შეფასების ნიმუშებს შეფასების პროცესის მონიტორინგის მიზნით;
- ამოწმებს და ადასტურებს შემფასებლის მიერ მიღებულ შეფასების გადაწყვეტილებებს;
- ახდენს შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციას და მიღებულ ინფორმაციას აწვდის ხარისხის მართვის მენეჯერს

შემფასებელი-არის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ კლასს და რომელიც შეფასებას ახორციელებს. კონკრეტული საგნის შემფასებელი (საგნის/კლასის მასწავლებელი):

- ქმნის შეფასების ინსტრუმენტს;
- აფასებს მოსწავლეს და აგროვებს მოსწავლის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;
- შეფასებასთან დაკავშირებით იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- შეფასების შემდეგ იძლევა მკაფიო და კონსტრუქციულ უკუკავშირს და მითითებებს,
- აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს.

სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესები

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები

სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე). ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად. სასწავლო წლის ბოლოს, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.
სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშ(ებ)ი, განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს

სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

კურიკულუმის განვითარება

სკოლას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკივცბული აქვს კურიკულუმის გავითარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუემის განვითარების ეტაპებს:

- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება;
- ✓ სასკოლო კურიკულუმის დანერგვა;
- ✓ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
- ✓ გადასინჯვა და რევიზია

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება-სასკოლო კურიკულუმის/სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი იწყება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმა მტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სკოლის აღმასრულებელი დირექტორის, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვის მენეჯერის, საგნობრივი კათედრების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მონაწილეობით. შემუშვებული სასკოლო კურიკულუმი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ ამტკიცებს სკოლის აღმასრულებელი დირექტორი.

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრის ყველა მასწავლებელი. სასწავლო წლის დაწყებამდე **ათი დღით ადრე** კათედრებს შეთანხმებული და დაგეგმილი აქვთ თემატური მიმართულებები, აღწერილი თემების მიხედვით თუ რა ცოდნა უნდა მისცენ მოსწავლეებს. თემატური მიმართულებების ფარგლებში განსაზღვრული აქვთ ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რაც დასტურდება შესაბამისი კათედრის სხდომის ოქმით.

კურიკულუმის დანერგვა, რაც გულისხმობს წლის დასაწყისში დაგეგმილი პროცესის განხორციელებას, შემდეგი ეტაპების თანმიმდევრობით.

- ✓ შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში მოსწავლის დახმარება მასწავლებლის მიერ;
- ✓ აქტივობებს და სასწავლო რესურსებს მონიშვნა, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში.
- ✓ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების განსაზღვრა:
- ✓ გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი საგნობრივი კათედრებისთვის ანგარიშის მომზადება,
- ✓ სასწავლო თემაზე მუშაობასას მასწავლებელი უზიარებს ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის სისტემური და უწყვეტი შეგროვება და ანალიზი. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების, სკოლის აღმასრულებელი დირექტორის, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვის მენეჯერის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. მონიტორინგი განხორციელდება ხარისხის მარვის მენეჯერის ორგანიზებით, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში. ინფორმაციის შეგროვება მოხდება სკოლის მიერ გამოყენებული რესურსების, ღონისძიებების, არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული

აქტივობების, შუალედური შედეგების შესახებ, მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ინფომაციის საშუალებით კეთდება ანალიზი, რამდენად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად.
მონიტორინგის შემდეგ ხდება დაგეგმილი და რეალიზებული ინტერვენციების შესაბამისობის, ეფექტიანობის, ქმედითობის, ზეგავლენისა და მდგრადობის პერიოდული შეფასება.

გადასინჯვა და რევიზია-ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- ✓ მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში*:*
- ✓ მოსწავლეთა შედეგები*:*
- ✓ მშობელთა ჩართულობა*:*
- ✓ საგნობრივი კათედრების მუშაობა*:*
- ✓ სკოლის ადმინისტრაციის *მუშაობა*
- ✓ პროცესში ჩართული მხარების მუშაობა

საზოგადოების ინფორმირების საშუალებები
სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის გამოიყენება:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ჟურნალი
- სოციალური მედია;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და მატერიალური მხარდაჭერა

პერსონალი მართვა

პერსონალის მართვის საკითხები აღწერილია სკოლის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით. რომლის მიზანია განსაზღვრავოს ადამინური რესურსების მართვის პროცესების ეფექტიანად წარმართვა, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას, რეალიზებასა და განვითარებას. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურა, განსაზღვრულია თითოეული დასაქმებული და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. ხარიხის უზრუნველყოფის მექანიზმები ადამიანური რესურსების მართავის პროცესში, ადამიანური რესურსის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების წესები და პირობები.

პერსონალის მხარდაჭერა

პერსონალის მხარდამჭერი ღონისძიებები რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც განსაზღვრავს: ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია

სამუშაო გარემოსთან, პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა კვლევას, პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარებას, თანამშრომელთა მოტივირებას.

პროცესების მართვა

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა განხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ შესაბამისად. პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი- ხარისხის მართვის მენეჯერი. იდენტიფიცირებულია სკოლაში მიმდინარე პროცესები და ქვეპროცესები. სკოლის ხარისხის განვითარება ციკლური პროცესია და ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. მუშაობის აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, სკოლის ძლიერი და სისუსტეების დასადგენად.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ადამიანის უსაფრთხოების დაცვა სკოლის ტერიტორიაზე. უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა , შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, მიწერილობა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. უფლოებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის წესები“. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო- სამეთვალყურეო კამერებით. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სამედიცინო მომსახურეობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის მარეგულირებელ დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლაში სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების თავისებურებებს,სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება გარემოს შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლისთვის. ამ მიზნით სკოლაში დასაქმებულია 2 ფსიქოლოგი. სკოლაში განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვის მექანიზმები და ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის წესი. სტანდარტის შესაბამისად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი ადამიაური რესურსი.

,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებზე დაყრდნობით , სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმების წესი. ასევე ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილი მდებარეობს ქ. მდებარეობს ქ. თბილისში, ირაკლი აბაშიძის N15-ში. შენობა-ნაგებობის ფართობი შეადგენს 1406.7 კვ.მ.-ს (01.14.11.015.018). შენობა წარმოადგენს შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილის საკუთრებას.

აღნიშნული შენობა ნაგებობა შედგება: 6 სართულისაგან. სკოლაში სულ 16 საკლასო ოთახია. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო და მომავლის ტექნოლოგიების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის ოთახები, ექიმის კაბინეტი, კვების ბლოკი. სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე, მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილი.

ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით. სულ ჯამში სკოლას აქვს 340-ზე მეტი მოსწავლის მერხი.

საინფორმაციო რესურსები

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერების/ლეპტოპების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში, მათ შორის საკლასო ოთახებში. სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსები, პროექტორები, ტელევიზორები. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

სკოლის საკუთრებაშია არაერთი კომპიუტერი/ლეპტოპი, რომელთა ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიებში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსები, კომპიუტერები,ტელევიზორები, რობოტები, პროექტორები და ა.შ.

ფინანსური რესურსები

სკოლის ფინანსური რესურსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მან სრულყოფილად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. სკოლის ძირითადი შემოსავალი არის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება.